ინფორმაცია

ქ. ჭიათურაში, შპს „მგტ“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შუალედური პროდუქტების, კუდების, გატანა მანგანუმის მადნის მოპოვების კარიერებზე (სოფ. მღვიმევის, სოფ. რგანის და სოფ. ზედა რგანის მიმდებარედ) მოხდება. მათი გამოყენება იგეგმება კარიერების ქვედა ფენის შესავსებად. „ნარჩენების დასაწყობების შემდგომ ნიადაგის ზედა ფენის რეკულტივაციის მიზნით მოეწყობა ნიადაგოვანი საფარი“. საერთოდ არ არის მხედველობაში მიღებული ის საკითხი, რომ თითოეულ კარიერს, ფუნქციონირებისთვის გარკვეული პერიოდი გააჩნია. ზოგი რამდენიმე თვე შეიძლება იყოს გადახსნილი, ზოგი ერთი წელი, ორი წელი ან ა.შ გაურკვეველია, როგორ მოახერხებს ნარჩენების საბოლოო განთავსებას კომპანია იმ შემთხვევაში, თუკი კარიერებზე მოპოვებითი სამუშაოები აქტიური იქნება.	**მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია (ცხრილი 8.1), რომ შუალედური პროდუქტებისა და კუდების გატანა დაგეგმილია მანგანუმის მადნის მოპოვების კარიერებზე (სოფ. მღვიმევის, სოფ. რგანის და სოფ. ზედა რგანის მიმდებარე ტერიტორიებზე), დამუშავებული კარიერების ქვედა ფენების შესავსებად. ნარჩენების დასაწყობების შემდგომ ზედა ფენის რეკულტივაციის მიზნით მოეწყობა ნიადაგოვანი საფარი. საყურადღებოა, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (8) განესაზღვრა, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს მადნის გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (შლამები და კუდები) მართვის კონკრეტული ღონისძიებებისა ან/და მათი საბოლოო განთავსების ალტერნატიული ადგილის შესახებ დეტალური ინფორმაციის (GPS

		ყურადსაღებია, რომ კარიერებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ხშირად უჩივის მიტოვებული კარიერებიდან გამოწვეული პრობლემებს. კომპანიები უმეტეს შემთხვევაში მოპოვებითი სამუშაოების შემდეგ, კარიერს გადახსნილს ტოვებენ. ასეთ დროს, ხშირია პირუტყვის დაზიანების და დაღუპვის შემთხვევები. ამავე მიზეზით, ადგილობრივები ბავშვების გარეთ გაშვებასაც ერიდებიან. იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია ნარჩენებს საბოლოოდ კარიერზე განათავსებს, მაშინ სრული რეკულტივაცია მათი განთავსებიდან უახლოეს მომავალში უნდა იყოს უზრუნველყოფილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი განთავსება სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი იქნება. კუდებისაგან განსხვავებით, შლამების საბოლოო განთავსების საკითხი საერთოდ არ არის გზშ დოკუმენტში განხილული. 2021 წლის 22 ივნისს ჩატარებულ საჯარო განხილვაზე, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა გვიპასუხა, რომ შლამების საბოლოო განთავსებაც ისევე იგეგმება, როგორც კუდების. შეხვედრაზე, საწარმოო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით - გზშ ანგარიშისგან სრულად განსხვავებული ინფორმაცია მოვისმინეთ. „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლის განმარტებით,	კოორდინატებით) სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა.

		იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია ვერ გაიტანს ნარჩენს კარიერებზე, შესაძლოა კუდებისა და შლამების დასაწყობება „ცოფის“ ტერიტორიაზე მოხდეს. ამასთან, გამოყოფილია თუ არა ნარჩენების დასაწყობებისათვის ტერიტორია, ან რა ოდენობით არის მათი განთავსება შესაძლებელი ასევე გაუგებარი რჩება.	
3	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	ჯორჯიან მანგანეზთან გაფორმებული ხელშეკრულება - როგორც გზშ ანგარიშის თანახმად, ისე კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი ჯორჯიან მანგანეზი იქნება და აღნიშნულის დასტურად გზშ ანგარიშს თან ერთვის ამ საკითხზე მათთან გაფორმებული ხელშეკრულება. გზშ ანგარიშს მართლაც აქვს დანართი სახელწოდებით: „ხელშეკრულება „ჯორჯიან მანგანეზთან“, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტი არის შპს მანგანუმ ლოჯისტიკთან გაფორმებული შეთანხმება ხელშეკრულების გახანგრძლივების შესახებ. შეთანხმების თანახმად, შპს მანგანუმ ლოჯისტიკი ავალებს შპს მ.გ.ტ.-ს „აწარმოოს დამკვეთის მიერ მითითებულ სამთო მინაკუთვნში მადნის ზედაპირული დამუშავება (მოპოვება), გადაზიდვა, გამდიდრება და შედეგად მიღებული მზა ჩაბარება დამკვეთზე“. გარდა იმისა, რომ	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:** გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, შპს „მ.გ.ტ.” ამჟამად არ ფუნქციონირებს. ამასთან გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია (თავი 8.1), რომ შპს „ჯორჯიან მანგანეზსა“ და შპს „მ.გ.ტ.“-ს შორის დადებული ხელშეკრულება ამჟამად არ არის ძალაში და მიმდინარეობს ახალი კონტრაქტის მომზადების პროცესები. ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (10) განესაზღვრა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების (კუდები, შლამები) მართვასთან დაკავშირებით შპს „ჯორჯიან მანგანეზთან“ განახლებული ხელშეკრულების სამინისტროში წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ნედლეულის/პროდუქციის და ნარჩენების (კუდები/შლამები) ტრანსპორტირება (სქემა/გეგმა-გრაფიკი) ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო

		გაუგებარია რა კავშირი აქვს მოქალაქე ნოდარ მიქაბერიძის 100% საკუთრებაში არსებულ შპს მანგანუმ ლოჯისტიკს შპს ჯორჯიან მანგანეზთან და მასზე გაცემულ წიაღით სარგებლობის ლიცენზიასთან, წარმოდგენილ შეთანხმებაში ნახსენებიც არ არის ნარჩენების მართვა. ამასთან წარმოდგენილი შეთანხმება ძალაშიც კი აღარ იყო გზშ ანგარიშის წარდგენისას - ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2020 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა.	საშუალებებით. ტრანსპორტირების საკითხები უნდა შეათანხმოს მუნიციპალიტეტთან.
4	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	ქ. ჭიათურის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლების ძირითადი წუხილი ნედლეულის ტრანსპორტირებიდან გამოწვეულ ხმაურს, ჰაერის დაბინძურებას და გზების დაზიანებას ეხება. შესაბამისად, ეს საკითხი დეტალურ შესწავლას საჭიროებს. ანგარიშში ტრანსპორტირებიდან გამოწვეული ზემოქმედების ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად სატრანსპორტო გზების პერიოდული მორწყვა მოიაზრება. რამდენ ხანში ერთხელ უზრუნველყოფს ამას კომპანია დაზუსტებული აღარ არის (დღეში ერთხელ, კვირაში ერთხელ თუ ა.შ). აგრეთვე დასაზუსტებელია: გააჩნია თუ არა კომპანიას გზის სარწყავი მანქანა; იღებს თუ არა	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ** გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გზის გაშრობისა და ამტვერების რისკების გათვალისწინებით, გზების მორწყვა მოხდება ყოველდღიურად. გარდა ამისა, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (9) განესაზღვრა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს საწარმოს და მისი მიმდებარე ტერიტორიის (მისასვლელი გზების) და სატრანსპორტო ოპერაციებისათვის გათვალისწინებული გზების მორწყვის გეგმა-გრაფიკის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა. რაც შეეხება საბურავისა და ძარის რეცხვას, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კარიერებიდან

		პასუხისმგებლობას, რომ მოახდენს არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ სოფლებზე გამავალი გზების მორწყვასაც. გზშ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ კომპანია საწარმოდან გამავალი ავტოტრანსპორტის საბურავებისა და ძარის გარეცხვას საწარმოსთან ახლოს მდებარე სამრეცხაოზე მოახდენს. საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ სამრეცხაოსთან კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. თუმცა, შეხვედრის მსვლელობისას ეს ხელშეკრულება მათ არ წარმოუდგენიათ. არც გზშ ანგარიშზეა ის თანდართული. საკითხი საჭიროებს დეტალურ განხილვას.	გამომავალი მანქანები ირეცხება კარიერების ტერიტორიაზე არსებულ სამრეცხაოებში, ხოლო საწარმოდან გასული ტრანსპორტი ირეცხება სამრეწველო მოედნიდან გასვლის შემდეგ (სამრეცხაოს GPS კოორდინატები: X-361512; Y-4684583). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან შპს „მ.გ.ტ." ამჯამად არ ფუნქციონირებს, არ გააჩნია სამრეცხაოსთან განახლებული ხელშეკრულება. ამასთან, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (11) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ტრანსპორტის საბურავებისა და ძარის რეცხვის მიზნით სამრეცხაოსთან განახლებული ხელშეკრულების სამინისტროში წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება საწარმოდან გამოსული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვა.
5	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	შპს „მ.გ.ტ." გეგმავს საწარმოო ტერიტორიაზე არსებული ორკამერიანი სალექარის რეკონსტრუქციას და სამკამერიანი სალექარის მოწყობას. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, ძველი სანებართვო დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმო ახორციელებდა მდ. ყვირილაში საწარმოო წყლების ჩაშვებას, ეხლა კი წყლის ბრუნვითი სისტემის საშუალებით წყალი კვლავ საწარმოო პროცესში დაბრუნდება.	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ** გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დღეისათვის ტერიტორიაზე მოწყობილია ორკამერიანი სალექარი. სალექარის სატუმბი კამერის ზომებია - 2.2მX1.2მX3.5მ, ხოლო მოცულობა - 9.24 $მ^3$. პირველი და მეორე დამლექი კამერის ზომებია - 4.5მX7მX3.5მ, დამლექი კამერების ჯამური მოცულობა - 220.5 $მ^3$-ია. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია დამატებით მესამე კამერის

		კომპანია გეგმავს საწარმოს წლიური წარმადობა, თითქმის 9-ჯერ გაზარდოს (არსებული 11 000 ტ/წელ-დან, 96000 ტ/წელ-მდე.). ორკამერიანი და სამკამერიანი სალექარების მოწყობა, ჭიათურაში მოქმედი საწარმოების მიერ უკვე კარგად დანერგილი პრაქტიკაა. მდ. ყვირილას დაბინძურების ხარისხი ნათლად აჩვენებს, რომ სალექარების მიერ გაწმენდილი წყლის ეფექტურობა ამ დაბინძურების თავიდან ასარიდებლად არასაკმარისია. ანგარიშიდან არ არის ნათელი, საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ერთი კამერიანი სალექარის დამატება წარმადობის ამდენად გაზრდის შემდეგ; დაიკავებს და მოასწრებს თუ არა თუ არა, დღის განმავლობაში საწარმოო პროცესში გამოყენებული წლის საჭირო ოდენობის გაწმენდას ეს სალექარი. საჭიროა ამ საკითხის შესწავლა რათა თავიდან იქნას არიდებული მდ. ყვირილას დაბინძურება.	დამატება, ზომებით - 4.5მX6მX3.5მ, ხოლო მოცულობით 94.5 $მ^3$. რეკონსტრუქციის შემდეგ სამკამერიანი სალექარის მოცულობა იქნება 315 $მ^3$ (საერთო ზომებით - 21.2x4.5x3.5 მ). გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი სალექარის ეფექტურობის გაანგარიშების (თავი 1.1) მიხედვით, აღნიშნული სალექარის ტევადობა უზრუნველყოფს წყლის სათანადოდ გაწმენდას ტექნოლოგიურ ციკლში დასაბრუნებლად. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვინაიდან პროექტით გათვალისწინებულია სალექარში გაწმენდილი წყლის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნდება და არ მოხდება მისი მდ. ყვირილაში ჩაშვება, შესაბამისად არ არის აუცილებელი შეწონილი ნაწილაკების ზდკ-ს დონემდე გაწმენდა. წარმოებისთვის მისაღებია შეწონილი ნაწილაკების მაღალი კონცენტრაციის შემცველი წყლის ხელმეორედ გამოყენებაც (250 მგ/ლ-მდე პროდუქციის ხარისხი არ უარესდება). ამასთან, გზშ-ის ანგარიშში (თავი 2.9) ასევე აღნიშნულია, რომ სალექარიდან შლამის ამოღება მოხდება კვირაში მინიმუმ 2-ჯერ, ექსკავატორის საშუალებით.

			გარდა ამისა, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით (13) განესაზღვრა, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) ეფექტურობის კონტროლი, მონაცემების აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრა, მათ შორის გამწმენდის ეფექტურობის გაზრდა.
6	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	გზშ ანგარიშში არ არის შეფასებული, საწარმოო ტერიტორიაზე არსებული გარემო პირობები. საჯარო განხილვის შემდეგ, ვიმყოფებოდით საპროექტო ტერიტორიაზე. ვიზუალური დათვალიერების შედეგად, შესამჩნევია რომ საწარმო სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მოსაპირკეთებელია. არსებული სალექარი სავარაუდოდ მწყობრიდან არის გამოსული და მნიშვნელოვან რეაბილიტაციას საჭიროებს.	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ** პროექტით გათვალისწინებულია არსებული ორკამერიანი სალექარისთვის დამატებით მესამე კამერის დამატება. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმო გეგმავს სამკამერიანი მექანიკური სალექარის მოწყობას/რეკონსტრუქციას და მის ტექნიკურად გამართულ ექსპლუატაციას.
7	მწვანე ალტერნატივა ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org ვებ-გვერდი: www.greenalt.org	2021 წლის 3 ივნისს მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქ. ჭიათურაში. ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ არ ყოფილა გამოკრული არსად. 9 ივნისს, ადგილზე დავუკავშირდით ჩვენ წარმომადგენელს, რომელმაც გვითხრა, რომ განცხადებები, კვლავ არ ყოფილა გამოქვეყნებული არსად. როგორც	**მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ** სამინისტრომ კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის ხელთ არსებული სხვადასხვა საშუალების გამოყენებით უზრუნველყო, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, საზოგადოების ინფორმირება და შენიშვნების/მოსაზრებების წარდგენის

		სამინისტროს წარმომადგენელმა საჯარო განხილვაზე განმარტა, განცხადება საჯარო განხილვის შესახებ, ინფორმაციის გავრცელების მოთხოვნით, გადაგზავნილ იქნა მუნიციპალიტეტში და მათ ნამდვილად უზრუნველყვეს განთავსება სხვადასხვა ადგილებზე. მორიგ ჯერზე შევახსენებთ სამინისტროს, რომ საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება არის მხოლოდ და მხოლოდ სამინისტროს ვალდებულება და მხოლოდ სამინისტრო არის პასუხისმგებელი ამ ვალდებულების შესრულებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობისათვის განცხადების გამოქვეყნების თხოვნა ვერ ჩაითვლება ამ ვალდებულების შესრულებად და არ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2021 წლის 22 ივნისს ქ. ჭიათურის მერიის შენობაში ჩატარებულ პროექტის საჯარო განხილვას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „გამა კონსალტინგის“, შპს „მ.გ.ტ.“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისა და ჩვენს გარდა არავინ ესწრებოდა.	კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განსაზღვრა. საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია განთავსებულ იქნა როგორც ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ასევე ქ. ჭიათურაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება სამინისტროს მიერ განხორცილდა ისე როგორც ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს, მათ შორის სამინისტროს წერილობითი კორესპონდენციის საფუძველზე მუნიცილიტეტის მიერ მოხდა ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნება საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად, გაუგებარია და დაუსაბუთებელია შენიშვნის ავტორის მსჯელობა დაგეგმილი საქმიანობის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის არასათანადოდ გავრცელებასთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილ შენიშვნებში გამოთქმული საკითხები ასახულია გზშ-ის ანგარიშში, ხოლო საკითხები, რომლებიც კონკრეტული/დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებს, ასახულია გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში.

		გადაწყვეტილების მიღება მოსახლეობის საჯარო განხილვაში მონაწილეობის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. ამიტომ მათ დროულ და ეფექტურ ინფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. დასკვნა: ნებართვის გაცემის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქ. ჭიათურაში და მიმდებარე სოფლებში არსებული საწარმოების ოპერირებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების პრობლემები. ზემოქმედების კიდევ უფრო დამძიმების თავიდან ასარიდებლად, შენიშვნებში ჩამოთვლილი საკითხების დეტალური შესწავლის გარეშე გარემოსდაცვითი გადაწყევტილების გაცემა დაუშვებლად მიგვაჩნია.	